# საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია

**საქართველო - რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, 2008 წლის 5 იანვარი**

## მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ

**თბილისი, 2008 წლის 6 იანვარი** - საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია (IOEM) 2008 წლის 5 იანვრის საქართველოს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR), ევროპის საპარლამენტო ასამბლეის (OSCE/PA), ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა (PACE) და ევროპარლამენტის (EP) ერთობლივი წამოწყებაა.

არჩევნები ფასდება ევროპისა და ევროსაბჭოს მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და დემოკრატიული არჩევნების სტანდარტებისა და ამასთან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. წინამდებარე მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ წინ უსწრებს არჩევნების დასრულების პროცესს. არჩევნების საბოლოო შეფასება ნაწილობრივ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ წარიმართება არჩევნების პროცესის დარჩენილი ეტაპები, ხმების დათვლა და შედეგების გამოცხადება, ასევე არჩევნების შემდეგ შესაძლო საჩივრებისა და გასაჩივრებული საქმეების განხილვა.

საარჩევნო პროცესის დასრულებიდან ორი თვის ვადაში OSCE/ODIHR გამოაქვეყნებს სრულყოფილ საბოლოო ანგარიშს, რომელშიც შევა სამომავლოდ გასათვალისწინებელი რეკომენდაციები. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია თავის ანგარიშს 21 იანვრის ასამბლეის პლენარულ სხდომაზე წარმოადგენს.

მომდევნო საპარლამენტო არჩევნების ჩატარების ვადისა და ნატოში შესვლის საკითხებთან დაკავშირებით ამომრჩეველთა აზრის გამორკვევის მიზნით, საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად, ჩატარდა ორი არასავალდებულო პლებისციტი. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია პლებისციტს აკვირდებოდა იმ მასშტაბით, რა მასშტაბითაც იგი ზეგავლენას ახდენდა საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებაზე.

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიაში წარმოდგენილი ინსტიტუტები მადლობას უხდიან საქართველოს ხელისუფლებას თანამშრომლობისთვის და გამოთქვამენ მზადყოფნას მომავალშიც დაუჭირონ მხარი დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას.

## წ ი ნ ა ს წ ა რ ი დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის 5 იანვრის საქართველოს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები ევროპისა და ევროპის საბჭოს მიერ ნაკისრი ვალდებულებებსა და დემოკრატიული არჩევნების სტანდარტებს ნაწილობრივ შეესაბამება, გამოიკვეთა აშკარა გამოწვევები, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას. ეს იყო პირველი, ჭეშმარიტად კონკურენტუნარიანი საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში, კანდიდატთა მოცულობითმა რეგისტრაციამ ამომრჩევლებს ნამდვილი არჩევანი შესთავაზა.

თუმცა, საარჩევნო კამპანია მკვეთრად პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში მიმდინარეობდა. უნდობლობამ და საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულმა დარღვევებმა, რომელთა მხოლოდ მცირე რაოდენობა შევიდა ცესკოსა და სასამართლოებში, ნეგატიურად იმოქმედა კონსტრუქციულ, საზოგადოებისთვის აქტუალურ თემებზე საარჩევნო კამპანიის ჩატარებაზე. ზოგჯერ იშლებოდა ზღვარი სახელმწიფო აქტივობებსა და ყოფილი პრეზიდენტის კამპანიას შორის, რაც არასამართლიან საარჩევნო გარემოს წარმოშობდა. ამის მიუხედავად ზოგადად ყველა კანდიდატს ჰქონდა თავისუფალი კამპანიის წარმოების საშუალება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ქართული მედია მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ზოგადად, იგი გამოხატვის თავისუფლებას უზრუნველყოფს და ამომრჩევლებს მრავალ მოსაზრებას სთავაზობს. მედიის მიერ კამპანიის გაშუქებამ, რაც მოიცავდა თოქშოუებს, სატელევიზიო დებატებსა და უფასო საეთერო დროის გამოყოფას, საშუალებას აძლევდა მოსახლეობას გაცნობოდნენ კანდიდატების პლატფორმას. თუმცა, კერძო მაუწყებლების მიერ ახალი ამბების გაშუქებაზე განხორციელებულმა მონიტორინგმა ცხადყო, რომ ადგილი ჰქონდა დისბალანსს მმართველი პარტიის მიერ ნომინირებული კანდიდატის სასარგებლოდ. მიუხედავად იმისა, რომ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის" ახალი ამბები მეტნაკლებად დაბალანსებული იყო ყველა კანდიდატისთვის გამოყოფილი საეთერო დროის თვალსაზრისით, გაშუქების ტონალობა მაინც ყოფილი პრეზიდენტის მხარდამჭერ ხასიათს ატარებდა.

საარჩევნო კოდექსში ბოლო დროს შეტანილმა ცვლილებებმა - მიუხედავად იმისა, რომ მათი მიღება დაგვიანებით მოხდა - ხელი შეუწყო საარჩევნო ადმინისტრაციის ჩართულობას ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (ცესკო) პარტიული წარმომადგენლობის შემოღების შედეგად. მოკლე ვადების მიუხედავად ცესკომ შეძლო არჩევნების ორგანიზება პროფესიულ დონეზე. თუმცა სადავო საკითხებთან დაკავშირებით ცესკოს წევრები ყოველთვის არ იცავდნენ ნეიტრალიტეტს, რაც ზოგადად მოეთხოვება საარჩევნო ადმინისტრაციას, და პარტიული ინტერესებით მოქმედებდნენ.

**საარჩევნო პროცესის პოზიტიური ასპექტები:**

- ზოგადად, დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად ადეკვატურია, თუ იგი კეთილსინდისიერად განხორციელდა. საარჩევნო კოდექსში ბოლო დროს შეტანილი ცვლილებები პასუხობს OSCE/ODIHR-ისა და ევროსაბჭოს მიერ შემოთავაზებულ რეკომენდაციებს.
- წინასაარჩევნო პერიოდში, ცესკოს საქმიანობა გამჭვირვალობით გამოირჩეოდა, ხშირად მართავდა რა ღია შეხვედრებს დამკვირვებლებთან და მედიის წარმომადგენლებთან. საარჩევნო კომისიები ყველა დონეზე მზად იყვნენ თანამშრომლობისთვის;
- ჩატარდა ამომრჩეველთა საგანმანათლებლო კამპანია ეროვნული მედიისა და არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელ პირთა ტრენინგი;
- პროცესის გამჭვირვალობას ხელი შეუწყო მრავალრიცხოვანი ადგილობრივი არაპარტიული დამკვირვებელი ორგანიზაციების აკრედიტაციამ;
- საარჩევნო მასალები გამოიცა ეროვნული უმცირესობების ენებზე;
- საერთაშორისო და ადგილობრივ დამკვირვებლებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და პრობლემური საკითხების მოგვარების მიზნით, პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებლის მიერ შეიქმნა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების სამთავრობო სამუშაო ჯგუფი. ზოგჯერ ოპოზიციის უკმაყოფილებები პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ჩარევის შედეგად გვარდებოდა.

**თუმცა პოზიტიური ასპექტების პარალელურად შემდეგი ნაკლოვანებებიც დაფიქსირდა:**

- კამპანიას ჩრდილს აყენებდა მრავალრიცხოვალი დაშინებისა და ზეწოლაზის ბრალდება, განსაკუთრებით სახელმწიფო სექტორის მოხელეებზე;
- სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელება ხშირად კავშირში იყო ყოფილი პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიასთან;
- საარჩევნო კოდექსში დარჩენილი შეუსაბამობები, ხარვეზები და ორაზროვანი ადგილები მრავალგვარი ინტერპრეტაციის საფუძველს იძლეოდა;
- საჩივრების განხილვისას ცესკომ ვერ გაითვალისწინა მნიშვნელოვანი სამართლებრივი პროცედურები; როგორც ცესკო, ასევე სასამართლოები ცდილობდნენ, ყოველგვარი საფუძვლიანი ინტეპრეტაციის გარეშე, მოერგოთ კანონი მმართველი პარტიის კანდიდატისა და თანამდებობის პირების სასარგებლოდ;
- ცესკოს მიერ მიღებული არჩევნების დღის პროცედურებს აკლდა გამჭვირვალობა და დეტალურობა.

არჩევნების დღემ ზოგადად მშვიდობიანად ჩაიარა. ჯამში, ხმის მიცემა საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დიდი უმრავლესობის მიერ დადებითად შეფასდა. თუმცა, დაფიქსირდა ორგანიზაციული და პროცედურული ხარვეზები, რომლებიც ძირითადად მარკირების, ხმის მიცემის მრავალჯერადობისგან დამცავი საშუალების, არასისტემატურ გამოყენებას უკავშირდებოდა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან კანონი კვლავ იძლეოდა არჩევნების დღეს ამომრჩეველთა დამატებით სიებში რეგისტრირების საშუალებას. ასევე აღსანიშნავია ამ სიების გამოყენების მასშტაბურობა. ხმების დათვლა, მნიშვნელოვანი პროცედურული დარღვევების აღმოჩენის გამო, ნაკლებად პოზიტიურად შეფასდა. აღნიშნული გარემოება შესაძლოა განპირობებული იყო იმის გამო, რომ საარჩევნო პროცედურების გადახედვა ბოლო წუთს განხორციელდა.

## წ ი ნ ა ს წ ა რ ი მ ო ნ ა ც ე მ ე ბ ი

### ზოგადი ფონი

7 ნოემბერს, ახლად შექმნილი ოპოზიციური პარტიების ბლოკის მიერ გამართული დემონსტრაციები, პოლიციის მიერ დარბევით დასრულდა. დემონსტრანტები სხვა საკითხებთან ერთად, მოითხოვდნენ 2008 წლის შემოდგომისთვის დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას 2008 წლის გაზაფხულზე, ასევე საქართველოს გადაქცევას საპარლამენტო რესპუბლიკად და მაშინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გადადგომას. იმავე დღეს, საქართველოს პრეზიდენტმა შემოიღო საგანგებო მდგომარეობა, რომელიც ირწმუნებოდა, რომ დემონსტრაციები ხელისუფლების დამხობის მცდელობის ნაწილი იყო. საგანგებო მდგომარეობა 16 ნოემბერს მოიხსნა.

8 იანვარს მაშინდელმა პრეზიდენტმა წამოაყენა წინადადება საკუთარი მანდატის შემცირების თაობაზე. იგი თანამდებობიდან გადადგა 25 ნოემბერს და საშუალება მისცა პარლამენტს დაენიშნა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები. პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა. პოლიტიკური დიალოგის საფუძველზე გადაწყდა საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩოში ცვლილებების შეტანა და მომდევნო საპარლამენტო არჩევნების ჩატარების ვადის განსასაზღვრად პლებისციტის ჩატარება.

### საკანონმდებლო ჩარჩო და საარჩევნო სისტემა

საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილია ფუნდამენტური სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებები, რაც დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის არის აუცილებელი. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საარჩევნო კოდექსი, რომელიც 2001 წელს იქნა მიღებული და მას შემდეგ არაერთხელ შესწორდა, არჩევნების მარეგულირებელ ძირითად კანონმდებლობას წარმოადგენს.

მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველოს საარჩევნო კოდექსში 2007 წლის 22 ნოემბერს შევიდა, ხოლო დამატებითი ცვლილებები კი, 12 დეკემბერს, არჩევნების დანიშვნის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ცვლილებებმა ხელი შეუწყო კანონის დახვეწას[1], არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე კოდექსის მოდიფიცირება არ შეესაბამება ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის ,,მართებული პრაქტიკის კოდექსს საარჩევნო სფეროში".

მიუხედავად არსებული შეუსაბამობების, ხარვეზებისა და ორაზროვანი ადგილებისა, რაც სხვადასხვა ინტერპრეტაციის საფუძველს იძლევა, საარჩევნო კოდექსი, ზოგადად, დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად ადეკვატეურია, თუ იგი კეთილსინდისიერად განხორციელდა.

საქართველოს პრეზიდენტი 5 წლის ვადით ირჩევა. თუ არჩევნების პირველ ტურში ხმების უმრავლესობას არც ერთი კანდიდატი არ მიიღებს, არჩევნების მეორე ტური ტარდება პირველი ტურიდან ორი კვირის თავზე პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორ კანდიდატს შორის.

---

[1] მხედველობაში იქნა მიღებული OSCE/ODIHR-ისა და ევროსაბჭოს დიდი ხნის რეკომენდაციები

## საარჩევნო ადმინისტრაცია

არჩევნების ადმინისტრირებას სამდონიანი საარჩევნო ადმინისტრაცია ახორციელებდა, რომელშიც შედიოდა: ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო), 76 საოლქო საარჩევნო კომისია და 3,511 საუბნო საარჩევნო კომისია, აქედან 44 ქვეყნის ფარგლებს გარეთ შეიქმნა. საარჩევნო კოდექსში ბოლო დროს შეტანილი ცვლილებების გამო შეიცვალა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა, რომელშიც ახლა შვიდი პოლიტიკური პარტიის მიერ დანიშნული წევრები შედიან.

ვინაიდან ცესკოს შემადგენლობის ახალმა ფორმულამ შედეგად მისასალმებელი პოლიტიკური ჩართულობა მოიტანა, კომისიის წევრები ხშირად არ იცავდნენ ნეიტრალიტეტს, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციას მოეთხოვება, და ბევრ გადაწყვეტილებას მხარს პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე უჭერდნენ.

ცესკოს საქმიანობა გამჭვირვალე იყო, ხშირად აწყობდა შეხვედრებს, რომელიც ღია იყო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის, მედიისა და დამკვირვებლებისთვის. თუმცა, ცესკო კენჭისყრის შედეგებს ყოველთვის არ აცხადებდა, რის გამოც დროდადრო გაუგებარი იყო გადაწყვეტილება მიღებული იქნა თუ - არა.

ცესკოს ინსტრუქციები არჩევნების დღის პროცედურებთან დაკავშირებით არ იყო სრულყოფილი. მასში დეტალურად არ იყო გაწერილი ის საკითხები, რომლებიც საარჩევნო კოდექსში არ არის მოცემული.

საუბნო საარჩევნო კომისიის სახელმძღვანელო არჩევნების დღის პროცედურებთან დაკავშირებით არჩევნებამდე სულ რაღაც ათიოდე დღით ადრე გამოიცა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელოში დეტალურად იყო მოცემული კენჭისყრისა და ხმების დათვლის პროცედურების ყველა ეტაპი, იგი ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ მაშინ, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ტრენინგი ფაქტობრივად დასრულებული იყო. ცესკომ ეროვნული მედიის საშუალებით ასევე ჩაატარა ამომრჩეველთა საგანმანათლებლო კამპანია ისეთ საკითებზე, როგორიცაა საარჩევნო სიები, ხმის ფარულობა, მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაყალბება და ერთი და იმავე პირის მიერ ხმის მრაველჯერადი მიცემა.

საოლქო საარჩევნო კომისიები, რომელთაც უფლებამოსილება ახლახან შეუმცირდათ, კვლავაც პარტიული წარმომადგენლობის გარეშე დარჩა. საოლქო საარჩევნო კომისიები, ზოგადად, კარგად ორგანიზებული იყვნენ, ატარებდნენ სპეციალურ სხდომებს, რომლებიც ღია იყო დამკვირვებლებისა და მედიისათვის. ზოგიერთ საოლქო საარჩევნო კომისიაში ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები საუბნო საარჩევნო კომისიების გახსნითი სხდომების თაობაზე არ იყვნენ ინფორმირებული.

საუბნო საარჩევნო კომისიის დონეზე, ოპოზიციური პარტიების სათანადო რაოდენობას არ ეკავა მენეჯერულ პოზიციები. მმართველი პარტია, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, საუბნო საარჩევნო კომისიებში დე-ფაქტო უმრავლესობით იყო წარმოდგენილი. ცესკოს მიხედვით, საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები, საუბნო საარჩევნო კომისიის უმეტესობაში თავმჯდომარეებად იყვნენ არჩეული, თუმცა ოპოზიციის მიერ მხოლოდ ორი თავმჯდომარე იყო დანიშნული.

## ამომრჩეველთა რეგისტრაცია

ცესკო ამომრჩეველთა ცენტრალიზებული რეესტრის უზრუნველყოფაზე არის პასუხისმგებელი. არჩევნებამდე ცესკომ ამომრჩეველთა სიების კარდაკარ გადამოწმება განახორციელა, რის შემდეგად საარჩევნო სიებში მნიშვნელოვანი შესწორებები შევიდა. ერთი კვირის განმავლობაში მოსახლეობას საშუალება ჰქონდა თავისი თავი საარჩევნო სიებში შეემოწმებინა და საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებების შეტანა ინტერნეტის, ცესკოს ცხელი ხაზის ან საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში

პირადად გამოცხადების გზით შეეძლო მოეთხოვა. მოსახლეობის მიერ საარჩევნო სიების გადამოწმების შედეგად, ამომრჩეველთა სიას დაახლოებით 2,000 ამომრჩეველი დაემატა, 3,000 გარდაცვლილი პირი კი, სიიდან ამოღებული იქნა.

ცესკოს განცხადებით, მონაცემთა შეყვანამ სისტემატიზირებული ხასიათი მიიღო. ამასთანავე, დაინსტალირდა ახალი პროგრამა, რომელიც დუბლიკატების აღმოჩენის საშუალებას იძლევა. 2008 წლის 2 იანვრის მონაცემებით, 3,352,448 ამომრჩეველი დარეგისტრირდა. საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შემდეგ არჩევნების დღეს ამომრჩველთა რეგისტრაცია ხელახლა იქნა შემოღებული.

მიუხედავად მრავალი მცდელობისა, მომხდარიყო ამომრჩეველთა სიების გადამოწმება, ბევრი დაინტერესებული მხარე კვლავ წუხილს გამოთქვამდა მათში არსებული სავარაუდო თუ რეალური უზუსტობების გამო. პოლიტიკურმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა OSCE/ODIHR-ს მიაწოდეს ინფორმაცია ისეთი დარღვევების შესახებ, როგორიცაა დუბლიკატები და არასრული მონაცემები, უფლებამოსილი ამომრჩევლის სიაში გამოტოვება, მართლწერისა და ტიპოგრაფიული შეცდომები და სიებში გარდაცვლილ პირთა არსებობა. ცესკომ შეცდომების  არსებობა აღიარა და მიზეზად დროის უკმარისობა დაასახელა მოულოდნელად დანიშნული არჩევნების გამო. ოპოზიციურმა პარტიებმა ცესკოში სულ ცოტა ექვსი საჩივარი შეიტანეს, რომელშიც 40 ათასზე მეტი ამომრჩევლის შესახებ არსებულ არასწორ მონაცემებზე მიუთითებდნენ. ყველა აღნიშნული საჩივარი ამომრჩეველთა სიის გადამოწმებისთვის  განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ იქნა შეტანილი. ცესკომ განაცხადა, რომ საჩივრებში ჩამოთვლილი შემთხვევები გადამოწმდა და უზუსტობების დადასტურების შემთხვევაში შესაბამისი შესწორებებიც გაკეთდა.

## კანდიდატთა რეგისტრაცია

საქართველოში ეს იყო პირველი, ჭეშმარიტად კონკურენტუნარიანი საპრეზიდენტო არჩევნები. კანდიდატთა რეგისტრაცია საერთო ჯამში იყო მოცულობითი და გამჭვირვალე. ოცდაორმა პრეზიდენტობის პოტენციურმა კანდიდატმა რეგისტრაციაზე განაცხადი შეიტანა. ცესკომ მხოლოდ 19 მათგანს მისცა უფლება დაეწყოთ რეგისტრაციისთვის აუცილებელი 50 000 მხარდამჭერის ხელმოწერის შეგროვება. კანონით დადგენილ ვადებში მხოლოდ ცამეტმა პარტიამ და საინიციატივო ჯგუფმა წარუდგინა ცესკოს მხარდამჭერთა ხელმოწერის სიები. შეტანილი ბოლო ცვლილებების თანახმად, კანდიდატებს სარეგისტრაციო დოკუმენტებში შეცდომების გასასწორებლად ორი დღე მიეცათ. საჭიროების შემთხვევაში, ორი დღის ვადაშივე მათ უნდა წარმოედგინათ დამატებით მხარდამჭერთა ხელმოწერებიც. საბოლოოდ, შვიდი კანდიდატი დარეგისტრირდა. ოთხმა პრეტენდენტმა, რომლებიც ხელმოწერების არასაკმარისი რაოდენობის გამო რეგისტრაციაში არ გაატარეს,  ცესკოს გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა უშედეგოდ.

აღნიშნულ შვიდეულში შევიდნენ შემდეგი კანდიდატები: მიხეილ სააკაშვილი  - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; ლევან გაჩეჩილაძე - საერთო სახალხო მოძრაობა, ცხრა ოპოზიციური პარტიისგან შემდგარი ბლოკი;  დავით გამყრელიძე - ახალი მემარჯვენეები; შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია; გია მაისაშვილი - მომავლის პარტია; ირინა სარიშვილი - პარტია იმედი; და არკადი (ბადრი) პატარკაციშვილი - დამოუკიდებელი კანდიდატი.

## საარჩევნო გარემო

მკვეთრად პოლარიზებულმა პოლიტიკურმა გარემომ - უნდობლობამ, ბრალდებებმა სახელმწიფო გადატრიალების მზადების თაობაზე,  ნეგატიურად იმოქმედა კონსტრუქციულ, საზოგადოებისთვის აქტუალურ თემებზე  საარჩევნო კამპანიის ჩატარებაზე. ოპოზიციური კანდიდატები ღრმა უნდობლობას უცხადებდნენ საარჩევნო ადმინისტრაციას და თანამდებობის პირებს.  ოპოზიციური კანდიდატების უმრავლესობა მეტ ყურადღებას პოლიტიკური საკითხების ნაცვლად, საარჩევნო დარღვევების ბრალდებებზე ამახვილებდა. ერთიანი ეროვნული მოძრაობის ოფიციალური პირები აცხადებდნენ, რომ იყო მცდელობა ეჭვქვეშ დაეყენებინათ არჩევნების შედეგები. ზოგიერთი ოპოზიციური კანდიდატი

აცხადებდა, რომ პატივს სცემდა სამართლიანი არჩევნების შედეგებს, თუმცა, ამავე დროს, გამუდმებით ეჭვქვეშ აყენებდა პროცესის სამართლიანობას.

სახელმწიფო და პოლიტიკურ პარტიებს შორის ზღვარის მოშლა, რომელიც შესაბამისობაში არ მოდის 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.4 პუნქტთან, იყო სადავო საკითხი, რამაც არათანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნა განაპირობა.

სოციალურად დაუცველი ფენებისთვის კომუნალური გადასახადებისა და სამედიცინო ვაუჩერების დარიგება გააკრიტიკეს, როგორც ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სასარგებლოდ საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი გამოყენება. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ ვაუჩერების დარიგება არჩევნების დანიშვნამდე იყო დაგეგმილი.

თუმცა, არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ვაუჩერების დარიგება საარჩევნო მიზნებიდან გამომდინარეობდა, რადგან ზღვარი სახელმწიფო ღონისძიებებსა და ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის საარჩევნო კამპანიას შორის ბუნდოვანი იყო. ვაუჩერებში აშკარად არის ნათქვამი, რომ იგი პრეზიდენტის სუბსიდიაა. ჯანდაცვის ვაუჩერებზე ისევე, როგორც დროებითი დასაქმების პროგრამის ფურცლებზე, გამოსახულია ციფრი ,,5", მონერი, რომლითაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არჩევნებში 2004 წლიდან მონაწილეობს. ხანდახან ვაუჩერების დამრიგებლები ადრესატებს ეკითხებოდნენ მხარს ხომ არ დაუჭერდნენ ბატონ სააკაშვილს და მათ მხარდაჭერის დასადასტურებლად დოკუმენტზე ხელის მოწერას თხოვდნენ. ზოგჯერ ვაუჩერები ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისებიდანაც რიგდებოდა.

უფრო მეტიც, იმ ბრალდებების საპასუხოდ, რომ ბატონმა სააკაშვილმა სახელმწიფო რესურსები არამიზნობრივად გამოიყენა, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ განაცხადა, რომ გაწეულ სერვისებზე ხარჯები პარტიამ გაიღო. აღნიშნული სადავო საკითხი გამწვავდა იმის გამო, რომ არჩევნებამდე არ მოხდა კამპანიის დაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. პრეზიდენტის მიერ ახალქალაქში ახალი ნავთობსადენისა და თბილისი-სენაკი-ლესელიძის მაგისტრალის განათების სისტემის ოფიციალურ გახსნებს საპრეზიდენტო ღონისძიებების სახე მიეცა, რაც შესაბამისობაში არ მოდიოდა ბატონი სააკაშვილის სტატუსთან, რადგან ის არის კანდიდატი - არა საჯარო მოხელე.

საარჩევნო კამპანია ფართოდ გავრცელებულმა დაშინებისა და ზეწოლის ბრალდებებმა გადაფარა, რაც ასევე საჯარო მოხელეებზეც ვრცელდებოდა. იყო ბევრი დადასტურებული ზეწოლის ფაქტი პოლიციისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ოპოზიციის მხარდამჭერებზე, რათა მათ შეეწყვიტათ კამპანიის წარმოება. იყო დაჭერითა და სამსახურიდან გათავისუფლებით დაშინება, შენობების მესაკუთრეებზე ზეწოლის ფაქტები, რათა მათ არ მიექირავებინათ ფართი ოპოზიციისთვის საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად. განკერძოებული ძალადობის შემთხვევები ოპოზიციური აქტივისტების წინააღმდეგ, გატაცების ჩათვლით გაცხადდა და დადასტურდა. ასეთი მეთოდები არ შეესაბამება 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.7 პუნქტს, რომელიც მოითხოვს, რომ არჩევნები სამართლიან და თავისუფალ გარემოში, ყოველგვარი ადმინისტრაციული ღონისძიების, ძალადობისა და დაშინების გარეშე უნდა ჩატარდეს.

ზოგადად ყველა კანდიდატს ჰქონდა საშუალება თავისუფლად ეწარმოებინა საარჩევნო კამპანია მთელი ქვეყნის მასშტაბით. კამპანია სხვადასხვაგვარი ინტენსივობით მიმდინარეობდა. იგი გაცილებით უფრო აქტიური იყო თბილისში ვიდრე ბევრ სხვა რეგიონში. ძირითად აქტივობას კამპანიის ფარგლებში კანდიდატების მიერ მოწყობილი დემონსტრაციები წარმოადგენდა. ოთხმა კანდიდატმა ინტენსიურად იმოგზაურა ქვეყნის მასშტაბით. ბატონი პატარკაციშვილი მთელი კამპანიის განმავლობაში საზღვარგარეთ იმყოფებოდა, რადგან იგი ხელისუფლებამ სახელმწიფო გადატრიალების დაგეგმვაში დაადანაშაულა. ხელისუფლებამ გაავრცელა რამდენიმე ჩანაწერი, რომლის საფუძველზე იგი არჩევნების შემდეგ სახელმწიფო დამხობის მცდელობაში იქნა დადანაშაულებული.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების სამთავრობო სამუშაო ჯგუფი საერთაშორისო და ადგილობრივ დამკვირვებლებთან მჭიდრო თანამშრომლობის მიზნით შეიქმნა. ეუთოს დემოკრატიული

ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ აღნიშნა, რომ ზოგჯერ ოპოზიციის უკმაყოფილებები პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ჩარევის შედეგად გვარდებოდა. კამპანიის ბოლო დღეებში პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა მკაცრად მოუწოდეს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებს, პოლიციასა და თანამდებობის პირებს დაიცვან კანონი და თავი შეიკავონ ყველა იმ ქმედებისგან, რამაც შეიძლება ხელყოს არჩევნების ინტეგრირებულობა.

## ქალებისა და ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა

არ არსებობს არც სამართლებრივი ბარიერები, რაც ხელს შეუშლიდა ქალების საარჩევნო პროცესებში მონაწილეობას და არც რაიმე სამართლებრივი დადგენილებები, რაც ხელს შეუწყობდა მათ აქტივობას. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკაში ცოტა გამოჩენილი პოლიტიკოსი ქალია, სუსტი სქესი მაინც ნაკლებად არის წამოდგენილი პოლიტიკურ ცხოვრებაში და საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლეს თანამდებობებზე. ირინა სარიშვილი იყო ერთადერთი სუსტი სქესის წარმომადგენელი საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის. ცესკოს წევრებს შორისაც მხოლოდ ერთი ქალბატონია. ცესკოს მონაცემთა თანახმად სქესთა ბალანსი შედარებით თანაბარი იყო საოლქო საარჩევნო კომისიებში (42 პროცენტი იყო ქალი), საუბნო საარჩევნო კომისიებიც მეტწილად ქალებით იყო დაკომპლექტებული (50 პროცენტი). არჩევნების დღეს საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების მიერ მონახულებულ საარჩევნო უბნებზე საუბნო საარჩევნო კომიის თავმჯდომარეთა 55 პროცენტს ქალები შეადგენდნენ.

ეროვნული უმცირესობები მოსახლეობის 16% შეადგენს, მათგან აზერბაიჯანელები და სომხები ეროვნული უმცირესობების ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფებს ქმნიან. ეროვნული უმცირესობების რიცხვში ბოშებიც შედიან, მაგრამ არ მომხდარა ამის ოფიციალური აღიარება. ეროვნულ უმცირესობებს კონსტიტუციით სრული პოლიტიკური უფლებები აქვთ მინიჭებული. ზოგადად, ქვეყ იმ უმეტეს ნაწილში, სადაც მათი რაოდენობა საგრძნობლად დიდია, ისინი საოლქო საარჩევნო კომისიებში არაჯეროვნად იყვნენ წარმოდგენილნი. ცესკომ, მოთხოვნოს საფუძველზე, მოამარაგა ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში განლაგებული საუბნო საარჩევნო კომისიები რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და ოსურ ენაზე მომზადებული საარჩევნო მასალებით.

## მედია

ქართული მედია მრავალფეროვნებით გამოირჩევა, მოიცავს რა, როგორც საზოგადოებრივ ისე კერძო მაუწყებლებს და 200-მდე ბეჭდვით გამოცემას. მედიაგარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ბოლო დროს შემოღებულმა საგანგებო მდგომარეობამ, რომლის დროსაც ტელეკომპანიებზე მნიშვნელოვანი შეზღუდვები დაწესდა, სამმა ტელეკომპანიამ კი, საერთოდ შეწყვიტა მაუწყებლობა. საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ, ყველა მაუწყებელმა ნორმალურ რეჟიმში განაახლა, ხოლო ტელეკომპანია ,,იმედი", ოპოზიციის მხარდამჭერად მიჩნეული პოპულარული კერძო ტელეკომპანია, რომელიც 7 ნოემბერს პოლიციამ დაარბია და რომელსაც დროებით შეუწყდა სამაუწყებლო ლიცენზია, მაუწყებლობა მხოლოდ 12 დეკემბერს განაახლა, მაშინ, როდესაც საარჩევნო კამპანია უკვე დაწყებული იყო.

ამომრჩევლებს მრავალი მოსაზრების მოსმენა შეეძლოთ განსაკუთრებით თოქშოუების, სატელევიზიო დებატებისა და უფასო საეთერო დროის საშუალებით, რაც მათ საშუალებას აძლევდა გაცნობოდნენ კანდიდატებისა და პარტიების შეხედულებებსა და საარჩევნო პროგრამებს. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ყველა კანდიდატს უფასო საეთერო დრო შესთავაზა, იმათაც კი, ვისთვისაც არ იყო ვალდებული შეეთავაზებინა.[2] დებატები არ შედგა ოთხ მთავარ პრედენტენტს შორის, ვინაიდან ბატონმა

[2] კანონის თანახმად ,,კვალიფიციური" სუბიექტები არიან იმ პოლიტიკური პარტიების კანდიდატები, რომლებიც პარლამენტში ფრაქციით არიან წარმოდგენილნი, ან კიდევ, ისინი, რომლებმაც უკანასკნელ საყოველთაო არჩევნებში პროპორციული სისტემის საფუძველზე მიიღეს საქართველოს ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 4%-ისა. ხოლო იმისათვის, რომ,

სააკაშვილმა გადაწყვიტა უარი ეთქვა დებატებში მონაწილეობაზე. მისი სამი მთავარი მოწინააღმდეგე კი, დებატებში მონაწილეობის მიღებაზე მხოლოდ იმ პირობით თანხმდებოდა, თუ მათ სააკაშვილთან დებატების გამართვის საშუალება მიეცემოდათ. ამის გამო, ამომრჩეველს არ მიეცა საშუალება ინტერაქტიულ ფორმატში ეხილა წამყვანი კანდიდატების პოლიტიკური შეხედულებების ურთიერთგაცვლა.

მიუხედავად იმისა, რომ მედია ზოგადად სიტყვის თავისუფლებით სარგებლობს, ისინი თავიანთი მფლობელებისა და პოლიტიკური პატრონების ძლიერი გავლენის ქვეშ არიან მოქცეულნი. შესაბამისად, ხუთივე ძირითადი ტელეკომპანია კანდიდატებისა და პოლიტიკური პარტიების მხრიდან გავლენას განიცდიდა. სატელევიზიო ახალ ამბებში საარჩევნო კამპანიის გაშუქებისას არ იყო დაცული ბალანსი იმ ტელეკომპანიების უმეტესობაში, რომელთა მონიტორინგიც ხორციელდებოდა, - საეთერო დროის უმეტესი ნაწილი, ჩვეულებისამებრ, ბატონ მიხეილ სააკაშვილზე მოდიოდა. მეორე მხრივ, ის გაზეთები, რომელთა მონიტორინგსაც OSCE/ODIHR არჩევნების სადამკვირვებლო მისია ახორციელებდა, გამოირჩეოდა აზრთა მრავალფეროვნებით, სადაც სააკაშვილი სხვა დანარჩენ კანდიდატებთან შედარებით ყველაზე მეტად იყო გაკრიტიკებული.

არჩევნებამდე ოთხი კვირის განმავლობაში ,,საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" ყველაზე რეიტინგულ დროს თავისი პოლიტიკური და საარჩევნო სიუჟეტების 27 პროცენტი მიხეილ სააკაშვილს დაუთმო, რომელთა 98 პროცენტი პოზიტიური ან ნეიტრალური იყო. სააკაშვილის შემდეგ მოდის ბადრი პატარკაციშვილი 18 პროცენტით, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში მის ჩართულობაზე გაკეთებული სიუჟეტებით. სიუჟეტების 33 პროცენტი ნეგატიური იყო.

პატარკაციშვილს მოყვებიან დავით გამყრელიძე და ლევან გაჩეჩილაძე - 17 და 15 პროცენტით, და მათი გაშუქების ტონალობა ძირითადად პოზიტიურ ან ნეიტრალურ ხასიათს ატარებდა. ახალი ამბების გამოშვებებში არჩევნებამდე 2 კვირის განმავლობაში გაშუქება უფრო დაბალანსდა, მნიშვნელოვნად შემცირდა მიხეილ სააკაშვილისთვის დათმობლი საეთერო დრო ყველაზე რეიტინგულ დროს (ახლა მან 27 პროცენტი შეადგინა, მაშინ, როდესაც იგი კამპანიის დაწყებიდან პირველ ორ კვირაში 41 პროცენტი იყო). თუმცა, გაშუქების ტონალობა უცვლელი დარჩა.

ორი კერძო ტელეკომპანია - ,,რუსთავი 2" და ,,მზე", - რომლებიც საქართველოს მასშტაბით მაუწყებლობენ, აშკარა მხარდაჭერას გამოხატავდნენ სააკაშვილის მიმართ და ყველაზე რეიტინგულ დროს ახალი ამბების გამოშვების მნიშვნელოვან წილს მას უთმობდნენ. მაგალითად, ტელეკომპანიებმა ,,რუსთავი 2", ,,მზემ" და ,,საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" პირდაპირ ეთერში, ყველაზე რეიტინგულ დროს ახალი ამბების გამოშვებაში უჩვენეს 28-წუთიანი რეპორტაჟი თბილისში, სააკაშვილის მასწავლებლებთან შეხვედრის შესახებ. სხვა კანდიდატებს არ მიუღიათ მსგავსი საეთერო დრო მათ მიერ საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების გაშუქებისას. ამასთანავე, არც ერთ სხვა კანდიდატს, სააკაშვილის გარდა, არ ჰქონია შესაძლებლობა ახალი წელი მოსახლეობისთვის პირდაპირ ეთერში მიემართა, რაც სამივე ტელეარხით გადაიცა.

კიდევ ერთმა ტელეკომპანიამ - ,,იმედმა" - თავის მაყურებლებს საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით სულ სხვაგვარი სურათი შესთავაზა. აღნიშნულ არხზე სააკაშვილის ახალ ამბების საეთერო დროის 31 პროცენტი დაეთმო, რომლის 19 პროცენტი ნეგატიური ტონალობის იყო. სააკაშვილს მოყვება პატარკაციშვილი - 26 პროცენტი, აქედან 29 პროცენტი ნეგატიური იყო. ტელეკომპანია ,,კავკასია", რომელიც თბილისის მასშტაბით მაუწყებლობს, სააკაშვილის მიმართ კრიტიკით გამოირჩეოდა და მისი ძირითადი მოწინააღმდეგეებისთვის პლატფორმას წარმოადგენდა.

26 დეკემბერს ექვსმა წამყვანმა ჟურნალისტმა ტელეკომპანია ,,იმედის" დატოვების შესახებ განაცხადა, რის მიზეზადაც ტელეკომპანიის თანამფლობელის, არკადი პატარკაციშვილის, წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები დასახელდა. შედეგად, ტელეკომპანია ,,იმედის" ხელმძღვანელობამ ,,ბინძური

---

,,არაკვალიფიციურ " სუბიექტებს დაეთმოთ უფასო საეთერო დრო, მათ, საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, უნდა აჩვენონ, რომ საზოგადოება მათ მხარს უჭერს.

პოლიტიკური თამაშებისთვის თავის არიდების მიზნით", მაუწყებლობა ნებაყოფლობით, დროებით შეაჩერა, განაცხადა რა, რომ განიცდიდა ზეწოლას როგორც პატარკაციშვილის ასევე ხელისუფლების მხრიდან.

ცესკომ საკუთარი მედიამონიტორინგი კონტრაქტორი კომერციული კომპანიის საშუალებით პირველად ჩაატარა და მედიამონიტორინგის სამი ანგარიშიც გამოაქვეყნა. არჩეული მეთოდის ისევე, როგორც შედეგების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზის საფუძველზე საარჩევნო კამპანია დადებითად შეფასდა და ახალი ამბების გამოშვებებში არსებითი დისბალანსი არ დაფიქსირებულა.

ლევან გაჩეჩილაძის ერთ-ერთი უფასო სარეკლამო რგოლი, რომელიც შეიცავდა ანონსს მისი კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი ერთ-ერთი ღონისძიების შესახებ, ცესკოს თავმჯდომარის ცენზურა გაიარა, რადგან მისი აზრით იგი არ იყო წინასაარჩევნო რეკლამა. რეალური სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის მიუხედავად, ცესკომ გაჩეჩილაძის საჩივარი არ დააკმაყოფილა. ცესკოს გადაწყვეტილებას მხარი თბილისის საქალაქო სასამართლომაც დაუჭირა.

ფასიანი სატელევიზიო პოლიტიკური რეკლამის მაღალმა ტარიფმა კანდიდატებს მედია კამპანიის წარმოება შეუზღუდა. სამი ტელეკომპანია კანდიდატებს პოლიტიკური რეკლამისთვის ათჯერ მეტს ახდევინებდა ვიდრე ჩვეულებრივი რეკლამისთვის. არჩევნებამდე ორი კვირით ადრე ,,საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" ტარიფების შემცირების გზით, კანდიდატებისთვის პოლიტიკური რეკლამა უფრო ხელმისაწვდომი გახადა, თუმცა მათი ტარიფი მაინც ორჯერ აღემატებოდა ჩვეულებრივი რეკლამის ტარიფს. მიხეილ სააკაშვილი ერთადერთი კანდიდატი იყო, რომელმაც ფასიანი რეკლამები ქვეყნის მასშტაბით მაუწყებელ ოთხივე ტელეკომპანიის ეთერში განათავსა.

**საჩივრები და გასაჩივრება**

მიუხედავად იმის მტკიცებისა, რომ არსეობდა არჩევნებთან დაკავშირებული მრავალი დარღვევა, გაცილებით მცირე რაოდენობის ოფიციალური საჩივარი შევიდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და სასამართლოებში. ცოტა საჩივრები შევიდა საოლქო საარჩევნო კომისიებსა და რეგიონალურ სასამართლოებში, საჩივრებმა ძირითადად თბილისში მოიყარა თავი.[3] ოპოზიციურმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ეს მოვლენა არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების საარჩევნო ადმინისტრაციისა და სასამართლოების მიერ მიუკერძოებლად განხილვისადმი უნდობლობით ახსნეს. არსებობს სარწმუნო ინფრომაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოსახლეობას ეშინოდა პოლიტიკურად მოტივირებული დარღვევების შესახებ საჩივრებისა და თვითმხილველის განცხადების შეტანზე.

პროცედურული დადგენილებები, რომლებიც არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრებისა და გასაჩივრებების დაშვებასა და განხილვას შეხება, იყო ბუნდოვანი რადგან მომჩივანი პირები, საარჩევნო კომისიები და სასამართლოები იბრძოდნენ მათი ინტერპრეტაციისა და გამოყენებისთვის.

ასევე, ზოგიერთი საჩივარი არ იყო სათანადოდ დეტალურად ჩამოყალიბებული, იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ისინი ცესკოშიც და სასამართლოებშიც იგზავნებოდა. საარჩევნო კოდექსის წინააღმდეგობრივმა და ბუნდოვანმა დებულებებმა განსხვავებული სამართლებრივი ინტერპრეტაციები განაპირობა.

ცესკომ და სასამართლოებმა მიიღეს საჩივრები სახელმწიფო და ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივი გამოყენების, ასევე მმართველი პარტიის კანდიდატის მიერ ხმების მოსყიდვის თაობაზე. საჩივრებში კანდიდატის რეგისტრაციის გაუქმებას მოითხოვდნენ. ასევე შევიდა საჩივრები იმის თაობაზე, რომ საჯარო ოფიციალური პირები ეწეოდნენ აკრძალულ კამპანიას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. კამპანიასთან დაკავშირებული ყველა საჩივარი, ერთის გარდა,

[3] წინასაარჩევნო პერიოდში ცესკომ მიიღო დაახლოებით 31 საჩივარი, თბილისის საქალაქო სასამართლომ - 19, თბილისის სააპელაციო სასამართლომ - 6, რამდენიმე საჩივარი შევიდა საოლქო საარჩევნო კომისიასა და რეგიონალურ სასამართლოებში.

(პატარკაციშვილის მიერ ხმების მოსყიდვაზე) შევიდა მმართველი პარტიის კანდიდატის ან თანამდებობის პირების წინააღმდეგ. როგორც ცესკო, ასევე სასამართლოები ცდილობდნენ მოერგოთ კანონი, მისაღები ინტერპრეტაციისა და მისი არსის გაუთვალისწინებლად, მმართველი პარტიის კანდიდატისა და თანამდებობის პირების სასარგებლოდ.

საჩივრების განხილვისას ცესკომ ვერ გაითვალისწინა ქვეყნის კანონებითა და საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი მნიშვნელოვანი პროცედურები. აღსანიშნავია, რომ ცესკოს დებულებები არაადეკვატურ საშუალებებს გვთავაზობს საჩივრების გადასაწყვეტად. ცესკოს წევრებში შეიმჩნეოდა პროფესიონალიზმის ნაკლებობა საჩივრების განხილვისას და ხშირად მათი გადაწყვეტილებები განპირობებული იყო პოლიტიკურ ინტერესებით და არა კანონის გონივრული გააზრებით. ექვსი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი ხმას ყოველთვის აძლევდა მმართველი პარტიის კანდიდატის და თანამდებობის პირების მიერ საარჩევნო კანონის დარღვევის სასარგებლოდ, დანარჩენი შვიდი წევრი კი, საწინააღმდეგოდ, რაც საბოლოოდ ყველა მსგავსი საჩივრის დაუკმაყოფილებლობით სრულდებოდა. საჩივრებზე ცესკოს წერილობით დასკვნებში ხშირად არ იყო სათანადოდ მოყვანილი ფაქტები და კანონი, რის საფუძველზეც მოხდა დასკვნის მომზადება. ამასთა, არ ატყობინებდნენ მოსარჩელეების მათი უფლების შესახებ გადაწყვეტილება სასამართლოში გაესაჩივრებინათ.

ზოგადად, სასამართლოები ღია განხილვებს არჩევნებთან დაკავშირებულ საქმეებზე პროფესიონალურ დონეზე ატარებდნენ. თუმცა, ზოგიერთ გადაწყვეტილებაში არ იყო მოყვანილი სათანადო დასაბუთება და ბევრი მათგანი მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს. ბატონი სააკაშვილისა და საჯარო პირების წინააღმდეგ შეტანილი არც ერთი საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სხვადასხვა სამართალდამცავ და სამთავრობო სტრუქტურებს მიმართავდნენ განცხადებებით, რომლებიც მითითებული იყო ოპოზიიციის მხარდამჭერთა და მათი ოჯახის წევრთა დაშინების, გატაცებისა და თავდასხმების ფაქტები, ზოგიერთ მათგანში სამართალდამცავები მოიაზრებოდნენ. პოლიცია ასეთ ფაქტებს როგორც სჩანს საფუძვლიანად არ იძიებდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით კი, ბევრი საქმე დაიხურა არასაკმარისი სამხილის გამო. ეუთოს სადამკვირვებლო მისიისთვის უცნობია, დაიწყო თუ არა მსგავსი საქმეების გარშემო რაიმე გამოძიება.

## ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებლებს ითვალისწინებს. ცესკომ 34 ადგილობრივი არაპარტიული ორგანიზაცის, 50 - საერთაშორისო ორგანიზაციის და 18 საელჩოს დამკვირვებელი დაარეგისტრირა. მიუხედავად იმისა, რომ დამკვირვებლებს აქვთ უფლება დააკვირდნენ არჩევნების მთელ პროცესს, ადგილობრივმა დამკვირვებლებმა წინასწარ უნდა განაცხადონ, იმის თაობაზე, თუ რომელი დამკვირვებელი რომელ საარჩევნო უბანზე იქნება მივლენილი არჩევნების დღეს. კანდიდატებს ჰქონდათ უფლება დაენიშნათ წარმომადგენელი ყველა კომისიაში.

## არჩევნების დღე

არჩევნების დღემ ზოგადად მშვიდობიან გარემოში ჩაიარა. თუმცა ბევრ საარჩევნო უბანზე არაორგანიზებულობა და ქაოსი დაფიქსირდა. ცესკომ წინასწარი მონაცემებით ამომრჩევლთა აქტივობა 56 პროცენტით შეაფასა.

მონახულებული საარჩევნო უბნებიდან 91 პროცენტში გახსნითი პროცედურები მთლიანობაში შეფასდა როგორც ,,კარგი" ან ,,ძალიან კარგი", მიუხედავად მთელი რიგი პროცედურული პრობლემებისა, საარჩევნო ყუთების არასათანადოდ დალუქვის ჩათვლით (7 პროცენტი) ან საკონტროლო ბარათების (5). უფლებამოსილების არმქონე პირები ესწრებოდნენ უბნების გახსნის პროცესს საარჩევნო უბნების 15 პროცენტზე, მაგრამ არ ერეოდნენ საარჩევნო პროცესში. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა საარჩევნო უბნების 34 პროცენტზე უბნების დაგვიანებული გახსნა დააფიქსირეს.

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების მიერ კენჭისყრის პროცედურის შეფასება მერყეობს ,,კარგიდან" ,,ძალიან კარგამდე" მონახულებული საარჩევნო უბნების 92 პროცენტზე. თუმცა კონკრეტულ რეგიონებში, კენჭისყრის პროცედურამ მიიღო შეფასება ,,ცუდი" ან ,,ძალიან ცუდი", კერძოდ სამცხე-ჯავახეთში - 23 პროცენტი, ქვემო ქართლში - 12 პროცენტი და კახეთში - 11 პროცენტი.

ყველაზე ფართომასშტაბიანი პროცედურული დარღვევა დაკავშირებული იყო მარკირების პროცესთან. არ ხორციელდებოდა ყველა ამომრჩევლის შემოწმება მონახულებული საარჩევნო უბნების 15 პროცენტზე, ხოლო 13 პროცენტზე ყოველთვის არ გამოიყენებოდა მარკირების სითხე. ამას გარდა, საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა განაცხადეს, რომ 12 საარჩევნო უბანზე, უკვე მარკირებულ ამომრჩევლებს საშუალება ეძლეოდათ ხელახლა მიეღოთ მონაწილეობა კენჭისყრის პროცედურაში. სხვა დარღვევები შეეხება იდენტურ ხელმოწერებს (3 პროცენტი), ერთი და იმავე პირის მიერ რამდენჯერმე ხმის მიცემას და ამომრჩევლის ნაცვლად მისი ნდობით აღჭურვილი პირის გამოცხადებას ხმის მისაცემად (1-1 პროცენტი), ასევე ოჯახურ კენჭისყრას (5 პროცენტი). საარჩევნო უბნების 4 პროცენტზე საარჩევნო ყუთები არ აღმოჩნდა სათანადოდ დალუქული. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები ოთხჯერ გახდნენ ბიულეტენების საარჩევნო ყუთებშ ჩაყრის მოწმე, ერთხელ დაფიქსირდა ე.წ. ,,კარუსელი" ხმის მიცემისას.

უფლებამოსილი პირების დასწრება, უმეტეს შემთხვევაში პოლიციის, დაფიქსირდა საარჩევნო უბნების 9 პროცენტზე. 13 შემთხვევაში ისინი ერეოდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობაში. ადგილობრივი არაპარტიული დამკვირვებლები წარმოდგენილნი იყვნენ მონახულებული უბნების 95 პროცენტში, ხოლო კანდიდატთა რწმუნებულები - 94 პროცენტში. ხშირ შემთხვევაში რწმუნებულთა რიცხვი თითოეულ კანდიდატზე აჭარბებდა საერთო საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ რაოდენობას.

სიტუაცია საარჩევნო უბნებში და მიმდებარე ტერიტორიაზე ხშირ შემთხვევებში პრობლემტურობით გამოირჩეოდა. იმ შენობების 13 პროცენტში, სადაც განთავსებული იყო საარჩევნო უბნები, ჩვეულებრივ ხალხით იყო გადაჭედილი. საარჩევნო უბნების 21 პროცენტზე დაფიქსირდა ხმის მისაცემად მომლოდინე ამომრჩევლების გრძელი რიგები. მონახულებული უბნების 3-3 პროცენტზე შეინიშნებოდა დაძაბულობა საარჩევნო უბნების როგორც გარეთ ასევე შიგნით. ბევრი საარჩევნო უბნის შესასვლელთან დამკვირვებლებმა დააფიქსირეს გაერთიანებული ეროვნული მოძრაობის მხარდამჭერებით სავსე მიკროავტობუსები ხმის მიცემის მოლოდინში. მონახულებული საარჩევნო უბნების 3 პროცენტზე დაფიქსირდა კამპანიის მასალები უბნის შიგნით. ამას გარდა, დამკვირვებლებმა აღმოაჩინეს ცესკოს მიერ დამზადებული სტიკერები ტექსტით: "სად იქნები 5 იანვარს?", ტექსტის შუაში ფიქსირდებოდა წითელ წრეში ჩასმული "5", რაც ვიზუალურად მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო კამპანიის ციფრთან ასოცირდება.

ხმების დათვლა ნაკლებად პოზიტიურად შეფასდა. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების უმეტესობამ პროცესს მისცა შეფასება "ცუდი" ან "ძალიან ცუდი". მონახულებული საარჩევნო უბნების უმეტესობაზე ხმის დათვლის პროცესი ძალიან ნელი ტემპებით მიმდინარეობდა. საარჩევნო ყუთის გახსნამდე მთელი რიგი საუბნო საარჩევნო კომისიები არ ასრულებდნენ ელემენტარული შეთანხმების პროცედურას, რაც გულისხმობს ამომრჩეველთა რაოდენობის დადგენას და ოქმის შევსებას. ხმების დათვლისას უმეტეს შემთხვევაში ხმამაღლა არ კითხულობდნენ ამომრჩევლის მიერ გაკეთებულ არჩევანს, იყო შემთხვევები, როდესაც საუბნო საარჩევნო კომიის წევრებს და დამკვირვებლებს არ ეძლეოდათ უფლება შეემოწმებინათ ბიულეტინები, რაც კანონის დარღვევას წარმოადგენს. ბიულეტენის ნამდვილობის დადგენა არ იყო ყოველთვის რაციონალური და თანმიმდევრული. უფლებამოსილების არმქონე პირები ხშირად მონაწილეობას იღებდნენ ხმის დათვლის პროცედურაში.

ბევრი საოლქო საარჩევნო კომისია აწყდებოდა პრობლემებს შემაჯამებელი ოქმების შევსებისას და ახალი მონაცემების ნაცვალდ იმეორებდა ადრე დაფიქსირებულ ციფრებს. იყო შემთხვევები, როდესაც შემაჯამებელ ოქმზე წინასწარ ხდებოდა ხელმოწერა და მონაცემები პასტის ნაცვლად ფანქრით ივსებოდა. ზოგიერთ უბანზე არ მოხდა შემაჯამებელი ოქმების საზოგადოებისთვის წარდგენა. მიუხედავად იმისა,

რომ ცესკომ პირველად დაუშვა უბნებზე შედგენილი შემაჯამებელი ოქმების საკუთარ ვებ გვერდზე განთავსება, არჩევნების შემდგომი დღის შუადღემდე გამოქვეყნდა მხოლოდ მცირე რეოდენობის შემაჯამებელი ოქმები.

## მოხსენების მხოლოდ ინგლისური ვარიანტი არის ერთადერთ ოფიციალური დოკუმენტი

### ინფორმაცია მისიის შესახებ და სამადლობელო სიტყვა

OSCE/ODIHR-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია (EOM) თბილისში 6 დეკემბერს გაიხსნა. მის შემადგენლობაში შედიოდა 41 ექსპერტი და გრძელვადიანი დამკვირვებელი, რომელთა გადანაწილება მოხდა თბილისსა და 10 რეგიონალურ ცენტრში. არჩევნების დღეს საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიაში (IOEM) 495-მდე მოკლევადიანი დამკვირვებელი დაფიქსირდა, მათ რიცხვში შევიდა 66-წევრიანი დელეგაცია ეუთოს საპარლამენტო ასამბლეიდან (OSCE/PA), 23-წევრიანი დელეგაცია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეიდან (PACE) და 16-წევრიანი დელეგაცია ევროპის პარლამენტიდან (EP). საერთო ჯამში მისია დაკომპლექტდა დამკვირვებლებით ეუთოს 44 წევრი სახელმწიფოდან. IOEM დააკვირდა კენჭისყრას საერთო 3,511 უბნიდან 1,500 საარჩევნო უბანზე და ხმების დათვლის პროცესს 150 საარჩევნო უბანზე.

კონგრესმენი ელსი ჰასტინგსი (აშშ), OSCE/PA-ს დელეგაციის ხელმძღვანელი, ეუთოს თავმჯდომარის მიერ დაინიშნა ეუთოს მოკლევადიანი დამკვირვებლების სპეციალურ კოორდინატორად. ბატონი მატიაშ იორში (უნგრეთი) ხელმძღვანელობდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას; ქალბატონი მარი ანე აისლერ ბეგუინი (საფრანგეთი) ხელმძღვანელობდა ევროპის პარლამენტის დელეგაციას. OSCE/ODIHR საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას სათავეში უდგას ელჩი დიტერ ბოდენი (გერმანია).

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას სურს მადლობა მოუხადოს საქართველოს ხელმძღვანელობას არჩევნებზე დამკვირვებლად მოწვევისათვის, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სააკრედიტაციო დოკუმენტაციის უზრუნველყოფისათვის და საგარეო საქმეთა სამინისტროს და სხვა სახელმწიფო და ადგილობრივ ხელმძღვანელობებს გაწეული დახმარებისა და თანამშრომლობისათვის. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას ასევე სურს პატივისცემა გამოხატოს საქართველოში ეუთოს მისიისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი თანამშრომლობისა და მხარდაჭერისათვის.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით:

- OSCE/ODIHR საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს, ელჩ დიტერ ბოდენს თბილისში (+995 32 487 841);
- ქალბატონ ურდურ გუნარსდოტირს OSCE/ODIHR-ის წარმომადგენელს (+48 603 683 122) ან ქალბატონ ტატიანა ბოგუსევიჩს OSCE/ODIHR მრჩეველს საარჩევნო საკითხებში, ვარშავაში (+48 22 520 0600);
- ბატონ ანდრეას ბეიკერს, OSCE/PA (+45 60 108030 )
- ბატონ ბას კლაინს, PACE (+33 3884 12709);
- ბატონ შტეფან პფიცნერი, ევრო პარლამენტი ( +32 498983295)

**OSCE/ODIHR EOM-ის მისამართია:**
შერატონ მეტეხი პალასი
თელავის ქ. #20, 0103 თბილისი
ტელ: +995 32 487841
ფაქს: +995 32 487842
ელ-ფოსტა: info.eom@odihr.ge